კულტურული გარემოებებიდან, სადაც მშობელს საშუალება აქვს აიღოს ხანგრძლივი, ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება და გაცილებით მეტი დრო გაატაროს თავის შვილთან ერთად, ვიდრე მაგალითად იტალიაში, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ჩვილ ბავშვთა ბაგა-ბალები და შესაბამისი ინსტიტუციები ისეა სუბსიდირებული, რომ მშობელს შეუძლია ძალიან მცირე ასაკიდან მიიყვანოს შვილი ბაგაში. შესაბამისად, იტალიაში, საბავშვო თეატრები ხშირად უფრო მჭიდრო კომუნიკაციაში არიან პედაგოგებთან და აღმზრდელებთან, ვიდრე ბავშვების მშობლებთან. ეს მაგალითი არ ემსახურება რომელიმე მოდელის დადებითი ან უარყოფითი ნაწილის ჩვენებას და მხოლოდ იმისთვის მოვიყვანე, რომ დავინახოთ თუ რა თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისგან თუნდაც სუსანე ოსტენის „უნგა კლარა“ (შვედეთი) და „ლა ბარაკა“ (იტალია) იმ სოციალური და კულტურული, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით, რომელშიც მათ უწევთ მუშაობა.

ადრეული ასაკის თეატრის მიმართულებით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კიდევ ორი დასი: ბრიტანული „პოლკა“¹ და შოტლანდიური „ვარსკვლავთმრიცხველები“.² დიდ ბრიტანეთში 3-6 წლის ასაკის მაყურებლისთვის განკუთვნილ წარმოდგენებს ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში დგამდნენ, თუმცა საგანგებოდ 0-3 წლის ჯგუფისთვის შექმნილი სპექტაკლები 21-ე საუკუნის მონაპოვარია. ეს მოძრაობა ნაწილობრივ გამოწვეულია დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული მთავრობის ინიციატივებით საგანმანათლებლო სისტემაში, კერძოდ კი - ყველაზე მცირე ასაკის ბავშვების ამ სისტემაში უფრო მეტად ჩართვით და მათთვის საგანგებო პროგრამის შემუშავებით. მათ შორისაა ისეთი პროგრამები, როგორებიცაა „ბავშვზე ზრუნვის ეროვნული სტრატეგია - ყოველი ბავშვი მნიშვნელოვანია; ცვლილებები ბავშვებისათვის“ და „ადრეული განვითარების ძირითადი ეტაპები“, რაც ითვალისწინებს 0-5 წლის ასაკის ბავშვის განათლებას, განვითარებასა და მასზე ზრუნვას. ამ სისტემის ფარგლებში გაჩნდა რამდენიმე დიდი ქსელი, რომელიც აერთიანებს ხელოვანებს, პედაგოგებსა და აღმზრდელებს, რომლებსაც ადრეული ასაკის ბავშვებთან აქვთ შე-

¹ Polkatheatre. <https://polkatheatre.com/>

² Starcatchers., Never too young to be inspired., starcatchers.org.uk

ხება.¹

თეატრი „პოლკა“ ევროკომისიის დიდი საერთაშორისო პროექტის „მცირე ზომა“ პარტნიორი ორგანიზაციაა და ამ პროექტის ფარგლებში, დიდი როლი შეასრულა გაერთიანებულ სამეფოში, ადრეული ასაკის ბავშვთა თეატრის პოპულარიზაციის საქმეში. ამჟამად თეატრი თავის რეპერტუარს 4 ასაკობრივ ჯგუფად ყოფს: 0-3, 4-6, 7-9 და 10-12 ჯგუფები. სპექტაკლების გარდა, „პოლკაში“ ხშირად ტარდება სემინარები და ვორქშოპები საბავშვო თეატრით დაინტერესებული ადამიანებისთვის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა წარმოდგენას თან ახლავს სუბტიტრები და სურდოთარგმანი.

შოტლანდიური თეატრალური დასი „ვარსკვლავთმრიცხველები“ 2006 წელს, რონა მეთისონმა დააფუძნა. „ლა ბარაკას“ მსგავსად, ამ დასის წევრებმა ჩრდილოეთ ედინბურგის ბავშვთა ცენტრებსა და ბაგა-ბალებში ჩაატარეს კვლევა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა რამდენიმე წარმოდგენა. „ვარსკვლავთმრიცხველები“ დღემდე მუშაობენ კონკრეტულად 0-4 ასაკის საბავშვო საგანმანათლებლო და შემეცნებით წარმოდგენებზე, ხშირად ატარებენ ტურნეებს შოტლანდიაში და მის ფარგლებს გარეთაც.

ზემოთ ჩამოთვლილი მოდელების განხილვისას კარგად ჩანს, რომ საბავშვო თეატრი არა მხოლოდ კულტურის, არამედ ქვეყნის პოლიტიკისა და საგანმანათლებლო სისტემის განუყოფელი ნაწილია. ბავშვზე ზრუნვა იწყება მისი დაბადების წამიდან და ეს გამოიხატება არა მხოლოდ მისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, არამედ ბავშვის, როგორც ცალკეული ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და მისთვის ამ უფლებებით გათვალისწინებული სერვისების (მათ შორის საგანმანათლებლო და სახელოვნებო) მიწოდებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროექტების, ფესტივალებისა და კოპროდუქციების როლი ამ მიმართულების განვითარებაში, ვინაიდან თითოეული წარმოდგენა თუ სემინარი შეიძლება ახალ შემოქმედებით იმპულსად იქცეს. სწორედ გამოცდილების გაზიარება, ინფორმაციის გაცვლა და ცოდნის გაღრმავება ამ სფეროს განვითარების საუკეთესო გზაა. აქვე უნდა

¹ Earlyarts, Seven benefits of the arts in early childhood. https://earlyarts.co.uk/7-benefits-of-arts-in-the-early-years?fbclid=IwAR1LSFGvKYUk12-VYMbNGE49CC6-vXM0tF-CYKhgM_pjW6ewFUUNegdjlNA

აღინიშნოს, რომ 2018 წელს მობარდ მაყურებელთა თეატრის მოწვევით, თბილისში ჩამოსული იყო პოლონური თეატრი „ბინოქიო“, რომელიც ადრეული ასაკის მაყურებლისთვისაც დგამს წარმოდგენებს. დასმა რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი წარმოადგინა და ჩაატარა სამდღიანი უფასო ვორქშოპი საბავშვო თეატრით დაინტერესებული პროფესიონალებისთვის. სამწუხაროდ, ამ ღონისძიებებს სულ 20-მდე ადამიანი თუ დაესწრო. იგივე განმეორდა იმავე წელს ლაიფციგის მობარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლისას. როგორც ჩანს, ჩვენი საბავშვო თეატრი ჯერ კიდევ პოსტ-საბჭოთა პერიოდიდან გამოყოფილი ინერციით მიგორავს და ჯერ არ არის მზად თანამედროვე დასავლური გამოცდილების მიღებისა და გაგებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ხშირად მომისმენია მოსაზრება, რომ ყველაზე პატარა ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილი წარმოდგენები (0-3 – 3-6 წ. წ.) ე.წ. „მაღალი თეატრალური ხელოვნებისაგან“ შორს დგას და არაფერი საერთო არ აქვს იმ თეატრთან, რომელიც ჩვენთან ათწლეულების განმავლობაში ვითარდებოდა. ვინც საკითხს სიღრმისეულად არ იცნობს, ერთი შეხედვით, შეიძლება ასეც მოეჩვენოს. მით უმეტეს, რომ საქართველოში (ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში) მყარად აქვს ფესვი გადგმული სტერეოტიპს, რომ ბავშვი 3 წლამდე სპექტაკლზე არ უნდა წაიყვანო, ხოლო 3 წლიდან მხოლოდ თოჯინების თეატრში, 5-6 წლიდან კი მობარდ მაყურებელთა თეატრის წარმოდგენებზე, მაშინ როდესაც თანამედროვე ევროპულმა საბავშვო თეატრმა დიდი ხნის წინ თქვა უარი ამ კლიშეებზე – თანამედროვე საბავშვო წარმოდგენაში შერწყმულია როგორც დრამატული თეატრი, ისე პანტომიმა, თოჯინები და მარიონეტები, ქორეოგრაფია, პოეზია, საცირკო ელემენტები და მულტიმედია, ჩრდილები, ფერები, ფორმები და ყველაფერი, რასაც კი ხელოვანის ფანტაზია გასწვდება.

ადრეული ასაკის თეატრის წარმოშობა და განვითარება მსოფლიოში საბავშვო თეატრის განვითარების ერთ-ერთი ლოგიკური ეტაპია, რომელიც უახლოესი ათწლეულების განმავლობაში კიდევ უფრო საინტერესო ფორმასა და სახეს მიიღებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Helander K, Artistic development on the frontline, NEWS SWEDISH THEATRE FROM focus: young audiences, published by Teaterunionen – Swedish ITI and ASSITEJ Sweden 2012/2013
- Ildikó K., Orsolya K., Theatre for tiny tots, http://www.dansdesign.com/gb/articles/28_10_05_6.html
- OSTEN, S., Mina meningar. Essäer, artiklar, analyser 1969–2002. Södertälje – Gidlunds bokförlag. <https://www.kulturradet.no/kunstloftet/vis-artikkel/-/kl-artikkel-2011-suzanne-osten>
- Selmer-Olson, Ivar. “Art for the Very Young.” Glitterbird. Web Jan. 18, 2012 <http://www.dansdesign.com/gb/articles/index.html>.
- Selmer-Olson, Ivar. “Death, Forgiveness and Never Losing the Aim Outside Myself.” Lecture Paris. Seminar, Glitterbird. Web Jan. 18, 2012 <http://www.dansdesign.com>
- Švachová Romana; The Childish Unga Klara: Contemporary Swedish Children’s Theatre and Its Experimental; Brünner Beiträge zur Germanistik und Nordistik 30 / 2016 / 1
- Unicef. “Convention of the Rights of the Child.” New York: Unicef, 1989. Web Oct. 19, 2010, <http://www.unicef.org/crc>.

სოფია ნადიბაიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“
ხელმძღვანელი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი, მარინე ვასაძე

პროზაული ნაწარმოების სცენური ინტერპრეტაცია თეატრ ჩხეიძის სპექტაკლის „დუელი“ მახალითვა

საკვანძო სიტყვები: *ფსიქოლოგიური თეატრი, სცენური ინტერპრეტაცია, სამეფო უბნის თეატრი.*

ანტონ ჩეხოვმა მოთხრობა „დუელი“ 1891 წელს გამოაქვეყნა, თუმცა სიუჟეტი გაცილებით ადრე ჰქონდა მოფიქრებული. პირველი ჩანაწერი მას შემდეგ გაჩნდა, რაც მწერალმა კავკასიაში იმოგზაურა (1888). ჩეხოვმა წერილი მისწერა ალექსეი სუვორინს: „ოჰ, როგორი მოთხრობის წერა დავიწყე. სიყვარულის შესახებ ვწერ. ფორმად ავიღე ფელეტონურ - ბელეტრისტული. წესიერმა ადამიანმა ასევე წესიერი ადამიანის ცოლი წაიყვანა და ამის შესახებ თავის მოსაზრებას წერს“.¹ მოთხრობაში მოქმედება ვითარდება შავიზღვისპირა პროვინციულ ქალაქში. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ბათუმში ან სოხუმში. ამ ქალაქის ფონზე ჩეხოვი დაწვრილებით გადმოგვცემს მეფის რუსეთის დროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას, ადამიანთა ცხოვრებას, გმირების ხასიათს, მათ ჩვევებს, მისწრაფებებს, მოსაზრებებსა და ლტოლვებს. მოთხრობის მთავარი პერსონაჟები: ივან ანდრეევიჩ ლაევსკი და ზოლოჯი ფონ კორენი იდეოლოგიურად დაპირისპირებული ადამიანები არიან. მათ შორის არსებული კონფლიქტი დუელის ველზე სრულდება.

მწერალი მოთხრობაში იყენებს ნატურალისტური ხასიათის ელემენტებს, რომლებიც ვლინდება მოქმედების ადგილის დაწვრილებითი აღწერითა და პერსონაჟის პროტოტიპის ზედმიწევნითი კვლევით. იგი იკვლევს ადამიანის ცნობიერების არსს; ჩეხოვი, როგორც ჰუმანისტი, თითოეულ პერსონაჟს თანაუგრძობს, მათი

¹ Дюэль. Примечания. [Дюэль. Примечания. http://chehov-lit.ru/chehov/text/duel/duel-prim.htm](http://chehov-lit.ru/chehov/text/duel/duel-prim.htm)

განსხვავებული მწიბრობის მიუხედავად. ადამიანის ბუნების ძიებაში, ამ პროცესის ტრანსფორმაციამ მოთხრობის პერსონაჟები მხოლოდ იდეურ გმირებად კი არა, რეალურ და თანამედროვე სახე-ხასიათებად აქცია. მწერლის სამყარო, როგორც თემატურად, ისე ფსიქოლოგიური თვალთახედვით, დღესაც აქტუალურია.

„დუელი“ პროზაული ტექსტია. მასში გამოყენებულია მხატვრული მეტყველების როგორც მონოლოგური, ისე დიალოგური ფორმები, რაც სასურველ წანამძღვრად გვევლინება ნებისმიერი ჟანრის დრამატურგიული ვარიაციის შესაქმნელად. ამიტომაც სასცენო ვერსიის დამუშავებისას, მთარგმნელმა და ინსცენირების ავტორმა თამაზ გოდერძიშვილმა ჩეხოვის ავთენტური ტექსტი თითქმის უცვლელი დატოვა. პერსონაჟების ხასიათი, დინამიზმი - დრამატურგიული სიზუსტით არის წარმოდგენილი. თემურ ჩხეიძემ და თამაზ გოდერძიშვილმა ინსცენირებისას მოთხრობის ტექსტობრივი სტრუქტურა მინიმუმამდე შეამცირეს, თუმცა შეინარჩუნეს მოთხრობის სიუჟეტური განვითარება და კონცეფცია.

ინსცენირების ავტორმა, ნაწარმოები 125 გვერდიდან 42 გვერდამდე დაიყვანა პიესის სახით. ტექსტის შემცირების მიუხედავად, შენარჩუნებულია მოთხრობის თემატური ლერძი - ფაბულა. ნაწარმოები 21 თავადაა დაყოფილი, პიესა კი სულ 15 ეპიზოდისგან შედგება. რამდენიმე ადგილას ვხვდებით ეპიზოდთა მიმდევრობის ცვლილებას, მაგალითად: მოთხრობის მეხუთე თავი - პიესის მესამე ეპიზოდია. მეთვრამეტე თავი, სადაც დიაკვნის აღწერაა, პიესაში ამოღებულია, თუმცა ინსცენირების ავტორმა დიაკვნის სცენა ოსტატურად გააერთიანა დუელის სცენაში.

ინსცენირების სიუჟეტური სტრუქტურა შემდეგი პრინციპითაა აგებული:

1. I-II თავი მოთხრობაში - პირველი ეპიზოდი პიესაში (ლაევსკისა და სამოილენკოს სცენა);
2. V თავი მოთხრობაში - მესამე ეპიზოდი პიესაში, აქ მეორე ეპიზოდს მოჰყვება (ნადეჟდასა და ლაევსკის სცენა) მესამე ეპიზოდი, რადგან ორივე ნადეჟდას ეხება (ნადეჟდასა და მარია კონსტანტინოვნას სცენა);
3. III თავი მოთხრობაში - მეოთხე ეპიზოდი პიესაში (სცენა სამოილენკოსთან);
4. VI-VII-VIII თავები მოთხრობაში - მეხუთე ეპიზოდი პიესაში (პიკნიკის სცენა);

5. IX თავი მოთხრობაში - მეექვსე ეპიზოდი პიესაში (ნადეჟდასა და ლაევსკის სცენა);
6. მეშვიდე ეპიზოდი პიესაში (ლაევსკისა და სამოილენკოს სცენა);
7. X თავი მოთხრობაში - მერვე ეპიზოდი პიესაში (მარია კონსტანტინოვნასა და ნადეჟდას სცენა);
8. XI თავი მოთხრობაში - მეცხრე ეპიზოდი პიესაში (სცენა ფონ კორენთან);
9. XII-XIII-XIV თავები მოთხრობაში - მეათე ეპიზოდი პიესაში (სცენა მარია კონსტანტინოვნასთან);
10. XV თავი მოთხრობაში - მეთერთმეტე ეპიზოდი პიესაში (სცენა სამოილენკოსთან);
11. XVI თავი მოთხრობაში - მეთორმეტე ეპიზოდი პიესაში (დიაკვნის, სამოილენკოსა და ფონ კორენის სცენა);
12. XVII თავი მოთხრობაში - მეცამეტე ეპიზოდი პიესაში (სცენა ლაევსკისთან);
13. XIX-XX თავები მოთხრობაში - მეთოთხმეტე ეპიზოდი პიესაში (სცენა დუელის ველზე).
14. XXI თავი მოთხრობაში - მეთხუთმეტე ეპიზოდი პიესაში (3 თვის მერე; დასასრული).

საბჭოთა ეპოქის მკვლევრის, ლიტერატურის კრიტიკოსის, არკადი გორნფელდის მოსაზრებით, ჩეხოვი რუს ინტელიგენტში ხედავს მეშინას, რომელიც კარგად ახერხებს, შემნიღბავი თხელი ბლონდის საშუალებით თავისი მორალური უპასუხისმგებლობის დამალვას,¹ რაც კარგად ვლინდება ლაევსკის ხასიათში. ივან ანდრეევიჩი ლაევსკი გაუცხოებულია, როგორც საკუთარ თავთან და ცოლთან, ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებების მიმართ. მეოცნებე, კანონების უარმყოფელ, მექალთანე პერსონაჟს ქმრიანი ქალი შეუყვარდება, რომელთანაც თავდაპირველად საერთო ინტერესები და იდეალები აკავშირებს, თუმცა მოგვიანებით ყოველგვარი გრძნობისგან იცლებს. ივან ანდრეევიჩი ორი წელი, სამოქალაქო ქორწინებით, ჯვარდაუწერლად ცხოვრობს ნადეჟდა ფიოდოროვნასთან, რომლის მიმართ არანაირ პასუხისმგებლობას აღარ გრძნობს. მათ შორის უკვე სულიერი კავ-

¹ Метафизическая дуэль. К пониманию Чехова, Кантор;
<https://voplit.ru/article/metafizicheskaya-duel-k-ponimaniyu-chehova/>

შირიც აღარ არსებობს – ურთიერთობა ტყუილზეა დამყარებული.

ივან ანდრეევიჩ ლაევსკი, თავისი ყოყმანითა და გაუბედავი ხასიათით, მაგონებს ბელიკოვს, მთავარ გმირს ჩეხოვის მოთხრობიდან – „კაცი ფუტლარში“, რომელიც, როგორც ლაევსკი – ფუტლარშია გამოკეტილი. მკვლევარი ერემია ქარელიშვილი ნაშრომში – „დიდი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი“ წერს: „ბელიკოვი ტიპური წარმომადგენელი იყო იმ უიმედო ობივატელი ინტელიგენტისა, რომელიც რეაქციისაგან შეშინებული, ცხოვრებას განუდგა და ყოველ წუთს მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა“.¹ არსებულ მრავალფეროვნობით სისტემას ბელიკოვისა და ლაევსკისნაირი ადამიანები ფატალურ შედეგებამდე მიჰყავთ. მაგალითად, გავიხსენოთ, „შინელის“ (ნიკოლოზ გოგოლი) პერსონაჟი აკაკი აკაკიევიჩი – რეაქციული სისტემის, ბიუროკრატიისა და უსულგულო სამოგადოების წარმომადგენელი, რომელიც, იმავდროულად, მსხვერპლიც აღმოჩნდება.

გორკის აზრით, „ჩეხოვი ჭკვიანი, გულმართალი, მოსიყვარულე და თანამგრძობი ადამიანია“.² ვფიქრობ, ჩეხოვის შემოქმედებაში ექიმი პერსონაჟები („დუელში“ – სამოილენკო, „ძია ვანიაში“ – ასტროვი, „თოლიაში“ – დორნი და ა.შ.), მწერლის ბიოგრაფიიდან გამომდინარე, მის პიროვნულ ფასეულობებსა და პოზიციებს გამოხატავენ. სავსებით შესაძლებელია, რომ მწერლის სათქმელი დავაკავშიროთ პერსონაჟ სამოილენკოსთან, რომელიც ყველასათვის სანდომიანი, უანგარო და თავდადებული მკურნალია. „დუელში“ ლაევსკის გვერდით წარმოდგენილია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი – ზოოლოგი ფონ კორენი, რომელიც კავკასიაში ჩადის შავი ზღვის მედუზების ემბრიოლოგიის შესასწავლად. ფონ კორენი, ლაევსკის მიმართ თავიდანვე სკეპტიკურად არის განწყობილი. მისი თვალთახედვით, ლაევსკისნაირი ადამიანები, რომლებიც ალკოჰოლში, ბანქოს თამაშსა და ქალებში ხედავენ კაცობრიობის ცხოველმყოფელობის არსს, უპერსპექტივონი და ამაოების ჭაობში ჩაფლულნი არიან. ისინი მხოლოდ ფიზიკურად ამრავლებენ „უძლურ და გახრწნილ კაცობრიობას“.

ბუნებისმეტყველი მეცნიერის, ფონ კორენისა და ფილოლოგ ლაევსკის სიტყვიერი კონფლიქტი შესაძლებელია მეტაფორულადაც გავიაზროთ, როგორც დუელი. გავაიგივოთ ეს იდეური კონფ-

¹ ქარელიშვილი, დიდი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი, თბ., 1954, გვ. 34.

² წულუკიძე, გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944, N24.

ლიქტი იმ მარადიულ, არსობრივ დაპირისპირებასთან, რომელიც გამოწვეულია როგორც საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების, ასევე ემპირიული და თეორიული ცოდნით - ორი მსოფლმხედველობის ურთიერთშეჯახებით.

ალბათ, ფონ კორენის ცხადად არარუსული გვარი ბგერწერითი მსგავსებით (პარონიმივით) შემთხვევით არ უკავშირდება მსგავსი რუსული სიტყვის ფუძეს, იქნებ (გარდა პროფესიისა) ამ ალევორიებითაც მინიშნებულია, რომ ის ყოფიერებაზე ჩაფრენილი, მიწაში მყარად ფესვადგმული მატერიალისტია. ფონ კორენს სურს, რომ ივან ანდრეევინი გამრავლებაზე მაინც იყოს ორიენტირებული, ლაევსკი კი - საზოგადოებრივი აზრისგან თავის დაღწევას, პირობითობებისა და მორალური ნორმებისაგან თავისუფლებას ცდილობს. ეს იდეოლოგიურად განსხვავებული ადამიანები, ცხადია, ზნეობრივადაც მკვეთრად განსხვავდებიან. თავად ლაევსკი საკუთარ თავს „უიღბლო ადამიანს“ უწოდებს და ამაში, ლიტერატურას ადანაშაულებს. მის მიერ დასახელებულ „დამნაშავეთა“ შორის ცნობილი რუსი მწერალიცაა (ტურგენევი) და ლიტერატურული პერსონაჟებიც (პეჩორინი და ონეგინი).¹

მოთხრობაში ეპოქისათვის დამახასიათებელ ისტორიულ რეალიებს ვაწყდებით. მეფის რუსეთის დროს მცხოვრები მწერალი, ბატონყმობის შემდგომდროინდელ თავგასულობას ლაევსკის აზროვნებასთან აიგივებს, ლაევსკი კი თავის გასამართლებლად ამბობს, რომ „ჩვენ ვართ უსიცოცხლო, ნერვებაშლილი მოდგმა ბატონყმობისა“.² ლაევსკის მისწრაფებების რეალიზება ისევე შეუძლებელია, როგორც ფუტლარში მყოფი ბელიკოვის. მას მთელი არსებით სურს რეალობიდან გაქცევა, მაგრამ გარემოება არ აძლევს ამის საშუალებას.

ნაწარმოებში ექიმ სამოილენკოს სახლში გაიმართება, განსხვავებული პოზიციებისგან წარმოქმნილი, სიტყვიერი დუელი. ეს სცენა, შესაძლოა, მათი ურთიერთობის კულმინაციურ მომენტადაც აღვიქვათ. ვფიქრობ, ზოოლოგის მთავარი შეცდომაა, რომ ვერ უგებს საკუთარ თავსაც კი. დუელის დასასრულს ხვდება, რომ ლაევსკის მიმართ მხოლოდ პირადი შუღლი ამოძრავებს. სიტყვიერი დუელი ქმედით, რეალურ დუელში გადაიზრდება. ლაევსკის შიში მოერევა და იწყება პერსონაჟის ტრანსფორმაცია. თავის

¹ პეჩორინი - პერსონაჟი ლერმონტოვის ნაწარმოებიდან, ჩვენი დროის გმირი.

² ჩხეზოვი, დუელი, თბ., 2017, გვ. 23.

სიზმრისეულ ცნობიერებაში იგი გარდაისახება საზოგადო მოღვაწედ და სამართლიან პიროვნებად. „[...] აღარ გაურბოდა ნადეჟდა ფიოდოროვნას, მას აღარ სჭირდებოდა ადგილის შეცვლა, ვინმესთვის რამის ახსნა. ასე დამთავრდა გმირის შინაგანი კონფლიქტი. ლაევსკიმ თავად გადაჭრა საკუთარი პრობლემები და ეს მოხდა მაშინ, როდესაც პირველად გადაწყვიტა დამოუკიდებლად ნადეჟდა ფიოდოროვნასთან დაახლოება, ეს იყო დუელის წინ“. ლაევსკი ინანიებს წარსულში ჩადენილ შეცდომებს. საკუთარ თავთან აღსარება კათარსისს განაცდევინებს და სურვილი უჩნდება, რომ დუელს ცოცხალი გადაურჩეს.

დუელი იმართება ერთმანეთისგან განსხვავებული ორი მეცნიერული დისციპლინის წარმომადგენელს შორის. ფონ კორენი, აფექტურ მდგომარეობაში, გადაწყვეტს ესროლოს ლაევსკის, სწორედ ამ დროს გამოდის სამალავიდან დიაკვანი, რაც განაპირობებს დუელის მშვიდობიანად დასრულებას. „როცა ჩეხოვმა „დუელში“ მოისურვა ეჩვენებინა ლაევსკის პარაზიტული ცხოვრების უმაქნისობა, მას ბრალი დასდო იმაში, რომ მშობლიურ ბაღში „არც ერთი ხე არ დაურგავს და არც ერთი ღერი ბალახი არ გაუზრდია“.¹ დუელში გამარჯვებით ლაევსკიმაც და ბუნებამაც თანაბრად განიცადეს სახეცვლილება.

სპექტაკლი ორი პერსონაჟის – ლაევსკისა (გიორგი შერვაშიძე) და სამოილენკოს (დავით ხურცილავა) დიალოგით იწყება. მწერლის მიერ ნატურალისტურად გადმოცემული დიალოგური მეტყველება თემურ ჩხეიძემ პერსონაჟების ვიზუალურ-ვერბალური პრიზმიდან დაგვანახვა. წარმოდგენის დასაწყისში უკვე იკვეთება ორი განსხვავებული პროტოტიპის – მეფის რუსეთის დროინდელი რომანტიკოსისა (ლაევსკი) და სამხედრო ექიმის (სამოილენკო) სცენური სახე. სიუჟეტის განვითარების პროცესში, იმ დროს, როდესაც მაყურებელი ეცნობა ლაევსკის კონტრასტულ ხასიათს, სცენაზე ნადეჟდა ფიოდოროვნა (ქეთა შათირიშვილი) ექსტრავაგანტური, თავდაჯერებული ქალის იმიჯი შემოდის. ამ ეპიზოდში ლაევსკი მეგობარი ქალის მიმართ ნიჰილისტურ განწყობილებას ავლენს, თუმცა, საკმარისია სცენაზე გაჩნდეს მესამე პირი, მარია კონსტანტინოვნა (ლილი ხურითი), რომ ლაევსკი მომენტალურად მზრუნველ კაცად გარდაისახება.

¹ ჩუკოვსკი, ჩეხოვი, თბ., 1973, გვ. 33.

სცენაზე XIX საუკუნის, მეფის რუსეთის დროინდელი გარემო (მხატვარი: გიორგი ალექსი-მესხიშვილი). რეჟისორსა და სცენოგრაფს სურთ სცენაზე ეპოქისათვის დამახასიათებელი ატმოსფერო შექმნან. სპექტაკლში გამოყენებულ თითოეულ ნივთს ინდივიდუალური დატვირთვა აქვს. დეკორაციის სიძუნწე იმაზე მეტყველებს, რომ რეჟისორისთვის პრიორიტეტულია მსახიობის მიერ შექმნილი როლი და არა სპექტაკლის ვიზუალური მხარე.

თითოეული პერსონაჟი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ხასიათებით გამოირჩევა. სპექტაკლის დასაწყისიდან დასასრულამდე დავით ხურცილავას გმირის -სამოილენკოს საპასუხო ქმედება არის გააზრებული და შეგნებული პროტესტი არსებული იდეოლოგიური დუელის მიმართ. ფონ კორენი კი, რომელიც შემდგომდროინდელი რუსი ბოლშევიკის პროტოტიპურ სახედაც კი გამოდგება, ლაევსკისადმი, როგორც ინტელიგენციის წარმომადგენლისადმი, ზიზღს გამოხატავს. ეს კონფლიქტი ასოციაციურად გაგვახსენებს ბოლშევიკებისა და ინტელიგენტების ცნობილ ანტაგონისტურ მიმართებებს, მოგვიანებით რომ გასაქანი მიეცემა საბჭოთა კავშირში.

რეჟისორი მსახიობების გონებას და გრძნობას ერთმანეთს უპირისპირებს. სრულიად შესაძლებელია, რომ გონება ფონ კორენს დავუკავშიროთ, გრძნობა კი - ლაევსკის. ასეთი დისპოზიციისას, ასოციაციურად, ცხადია, ვიხრებით კლასიციზმის ესთეტიკისკენ, როცა გონება მკვეთრად უპირისპირდება გრძნობას, ეს ვითარება ქმნის კონფლიქტს, ხოლო კონფლიქტი თავისთავად წარმოშობს დუელის, ანუ შეურიგებელი და ტრაგიკული ორთაბრძოლის, ალბათობას.

მასობრივ სცენებში თითოეული პერსონაჟი თანაბრად იქცევა ყურადღებას, ამისათვის რეჟისორი მარჯვედ და ეფექტურად იყენებს განათებას, რადგან ყველა მსახიობის მოქმედება ნათლად ჩანდეს და მაყურებელსაც უყურადღებოდ არ დარჩეს არცერთი მოქმედება. სპექტაკლში ორი სცენაა, რომელიც, ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა გამართო მოკლე ეპიზოდი დრამატურგიული სტრუქტურის სრული დაცვით, თანაც ისე, რომ სასცენო ინსტრუმენტები არ გამოიყენო და ააგო მხოლოდ მსახიობის შესაძლებლობებზე.

მსახიობ ლილი ხურითის პერსონაჟი - მარია, ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მეფის რუსეთის დროინდელი ეპოქისა, თავისი არისტოკრატიული ეტიკეტითა და იმ ზნეობრი-

ვი ქალის სტატუსით, რითაც საზოგადოებაში სარგებლობს. მარია ნადეჟდასთან სახლში მხოლოდ იმის შემდეგ მიდის, როცა გაიგებს, რომ ნადეჟდას ქმარი გარდაცვლილა. „შეწუხებული“ უსამძიმრებს მეუღლის გარდაცვალებას, თუმცა იმასაც ეუბნება: „ზოგი ჭირი მარგებელია და თქვენ უკვე შეგიძლიათ დაქორწინდეთ ლაევსკიმე“. ნადეჟდა რთულ ფსიქოლოგიურ ჩიხშია, იგი გრძნობს პასუხისმგებლობასაც და თან, თავს არიდებს საჩოთირო აღსარებას – უმძიმს ლაევსკის გამოუტყდეს, რომ ურთიერთობა ჰქონდა აჩმიანოვთანაც (მსახიობი – ლევან სარალიძე) და კირილინთანაც (მსახიობი – თორნიკე გოგრიჭიანი). ნადეჟდას სურს, თავისი შეცდომა გაუზიაროს მარიას, თუმცა ვერ ბედავს. ეს არყევს მის ფსიქიკას და ისევე როგორც ლაევსკი, ერთადერთ გამოსავალს ამ ქალაქის დატოვებაში ხედავს. ორივე პერსონაჟს აერთიანებს შექმნილი რეალობიდან ფსიქოლოგიური და ფიზიკური გაქცევის სურვილი. ისიც აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის, სივრცის ცვალებადობას ესწრაფვიან და არა შინაგან ტრანსფორმაციას.

რეჟისორს სპექტაკლში ახალი პასაჟი შემოაქვს. მსახიობი ავტორის მიერ დაწერილ რეპლიკას თავად ამბობს და ამავე დროს, განასახიერებს. „ნადია შევიდა საძინებელში და ლოგინზე წამოწვა, აკანკალდა, სწყუროდა, არავინ იყო წყლის მომწოდებელი“ – სპექტაკლში ტექსტს მსახიობი თვითონ ამბობს და ვიზუალურადაც ასახიერებს. წარმოდგენის დროს მაყურებელი ფსიქოლოგ-დამკვირვებლის როლშია. სპექტაკლში რეჟისორი ადამიანის არსს იკვლევს. ის რომელიმე პერსონაჟს კი არ ადანაშაულებს, არამედ იმ მიზეზშედეგობრივ მოვლენებს ეძებს, რომელთა გამოც ასეთებად ჩამოყალიბდნენ. ლაევსკი ეტაპობრივ ტრანსფორმაციას გადაის მაშინ, როდესაც გაიგებს, რომ რამდენიმე დღით მისი ქალაქიდან გამგზავრება გადაიდიო. ამ მომენტში პერსონაჟს ნერვული აშლილობა ეწყება. ეს სცენა ერთ-ერთი რთული ფსიქოლოგიური ეპიზოდია სპექტაკლში. აქ ლაევსკის ემოციები დინამიკური და კასკადურია – სიცილიდან ტირილში გადაიზრდება, ვფიქრობ, რომ ეს მონაკვეთი მსახიობისაგან უფრო მეტ სიზუსტესა და გააზრებას ითხოვს.

სპექტაკლში ქორეოგრაფიას (ქორეოგრაფი – მარიამ ალექსიძე) მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ეს ამკარაა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მარია კონსტანტინოვნას სახლში ლაევსკის პა-

ნიკური შეტევა ემართება. ამ სცენაში ნადეჟდა თავის მღელვარებას ვალსის ცეკვაში გამოხატავს. ამ ეპიზოდური ცეკვის მონაკვეთში ნადეჟდა ორგანულად და დინამიკურად გადმოსცემს საკუთარ ემოციურ განწყობას.

რეჟისორი დეტალურად იკვლევს პერსონაჟთა ფუნქციას და მოთხრობის ფსიქოლოგიურ-ლიტერატურული ანალიზი სცენაზე გადმოაქვს. ლაევსკის პათიოსან მოქალაქედ გადაქცევა და კულმინაციური ტრანსფორმაცია დუელის წინაღამეს ხდება. ამ დროს ის საკუთარ ფიქრებს თავისუფლებას ანიჭებს. იმ დროს, როდესაც სეკუნდანტები (მსახიობები: გაგა შიშინაშვილი, გიორგი რაზმაძე, ლევან სარალიძე, ბექა ხაჩიძე) მოუწოდებენ შერიგებისკენ ლაევსკისა და ფონ კორენს, ლაევსკი თანახმაა, თუმცა ფონ კორენი შეთავაზებას უარყოფს. ამ ტრაგიკულ ვითარებას ფატალური შედეგი აარსდა დიაკვნის (მსახიობი - ივა ქიმერიძე) გამოჩენამ. სპექტაკლში, ისევე როგორც მოთხრობაში, საბოლოო რეპლიკას დიაკვანი წარმოთქვამს - „არცა რა ჩანს, არცა რა ისმის“. ეს სიტყვები პიესის ფაბულის შემაჯამებელი ფრაზაა. ვფიქრობ, დიაკვნის მოქმედება მოთხრობაშიც და სპექტაკლშიც რეჟისორის მთავარი სათქმელია, რადგან მან გადაარჩინა ორი განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პერსონაჟის მომავალი. ფაქტობრივად, დიაკვნის ფრაზა აგვირგვინებს მოთხრობას. რა არის ეს?! ავტორისეული სკეფსისი თუ კონტრასტული იდეური ბრძოლით გატაცებული ეპოქის ნიშანი?!

ნაშრომში განვიხილეთ თარგმნილი თხზულების ინსცენირება, სადაც წარმოდგენილია ადამიანის შინაგანი ცხოვრების, წინააღმდეგობების ძიება, ღრმა და გააზრებული ფსიქოლოგიზმი, იდეური ჭიდილი და ყოფის, ეპოქის, იდეოლოგიების ტყვეობაში მოქცეული პიროვნებების საზრისული მაძიებლობა. ყოველივე ეს მეტწილად სწორედ ისეთი გამორჩეული ხელწერის შემოქმედისთვის შეიძლება იყოს საინტერესო, როგორც რეჟისორი თემურ ჩხეიძე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- А. П. Чехов, „Дуэль“, Примечания.
- Кантор Владимир Карлович, „Метафизическая дуэль. К пониманию Чехова“, Vorlit.ru;
- არისტოტელე. სულის შესახებ, მთარგმნელი თამარ კუკავა, თბ., 2001;
- ქარელიშვილი ერემია, დიდი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი, თბ., 1954;
- ჩეხოვი ანტონ „დუელი“, მთარგმნელი თ.გოდერძიშვილი, თბ., 2017;
- ჩუკოვსკი კორნეი, ჩეხოვი, თბ., 1973;
- წულუკიძე ვანო, ა. ჩეხოვი, გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944, N24;



კინომსოფენობა



ილია ასიტაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
აუდიო-ვიზუალური რეჟისურის
სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
ხელმძღვანელები - პროფ. დავით ჯანელიძე,
პროფ. ლელა ოჩიაური

პასტინგი - ისტორია და მახასიათებლები

საკვანძო სიტყვები: კასტინგი, მსახიობი, ტიპაჟი, ფსიქოლოგიური სა-
ხე, უნარები, მახასიათებლები.

კასტინგის არსი, თავისებურებები, პრობლემები და მახასიათებლები - საქართველოში ნაკლებად შესწავლილი და გაანალიზებულია, მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი აქვთ, არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული საჭიროების თვალსაზრისითაც. მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კინონაწარმოების შექმნის პროცესში.

თუ როგორ მიმდინარეობდა კასტინგი და პრობლემები, რომლებიც სინჯების დროს გათვალისწინებული არ იყო, მოგვიანებით, უკვე ფილმის გადაღების პროცესში იჩენენ თავს. სამსახიობო ნამუშევრის სირთულეებიც სწორედ ამ ეტაპიდან იწყება.

მსოფლიო კინოს ისტორიაში კასტინგი ყოველთვის გარკვეული მნიშვნელობისა და საპასუხისმგებლო ეტაპად, „სამზადისად“ ითვლებოდა. და უხმო კინოს პერიოდიდან, უკავშირდება მთავარ კითხვას - რას და ვის ეძებს ავტორი, რა უდევს მის ძიებებს საფუძვლად და რა მიზანი აქვს.

ნებისმიერ შემთხვევაში, არჩევანის გაკეთებისას, ითვალისწინებენ, თუ ვინაა პერსონაჟი, სად და როდის ცხოვრობს ის, რა წარსული, რა ბიოგრაფია ჰქონდა და რა სურს აწმყოსა თუ მომავალში. უფრო ზუსტად, როგორ ხედავს ამ ყველაფერს რეჟისორი, როგორ წარმოუდგენია მომავალი ფილმის ბუნება და რას და რა მიზნით მოითხოვს, ამა თუ იმ როლის შემსრულებელი მსახიობისგან.

თუ რეჟისორი ეძებს ამ კითხვაზე პასუხს, თან, კონკრეტულ პასუხს, მაშინ მხატვრული სახეც პასუხების თანახმად იქმნება და

კასტინგის ძირითად პირობაშიც ეს უნდა იყოს გათვალისწინებული.

ფაქტმა, რომ სინჯების სათანადო შესწავლა და მნიშვნელობის ხაზგასმა, კვლევა, შედეგებზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა წლების განმავლობაში იშვიათობა იყო, ქართული კინოცა და კინოსამსახიობო სკოლაც ნეგატიურ შედეგამდე მიიყვანა.

კასტინგის თეორიული ანალიზი, არც სამეცნიერო ლიტერატურაში და არც მიმოხილვითი სტატიების სახით, კასტინგის თავისებურებებისა და სპეციფიკის შესახებ, არც ქართული ფილმების კვლევის საფუძველზე და არც ქართულ ენაზე არ მოიპოვება. მაშინ, როდესაც თეორიული კვლევა და კრიტიკული ანალიზი, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენდა ფილმის პროფესიულ ჩარჩოებში შექმნასა და გმირის მხატვრული სახის ჩამოყალიბების პროცესზეც.

ცხადია, სინჯების მართვა და სარეჟისორო ამოცანასთან თანხვედრა, ის საკითხია, რომლის სრულყოფაც აუცილებელი, ხოლო ანალიტიკური განხილვა სასურველია, კინოს სპეციალობის სწავლების პროცესში.

რობერ ბრესონი, წიგნში „ჩანაწერები კინემატოგრაფზე“ ხშირად ადარებს პროფესიონალ და არაპროფესიონალ მსახიობებს. იგი, ძირითადად, არაპროფესიონალ მსახიობებთან მუშაობდა და მიზეზს თავისებურად განმარტავს.

ფრანგული კინოს რეფორმატორი, „ახალი ტალღის“ ლიდერი ფრანსუა ტრიუფო, წიგნში „რაც თვალს სიამოვნებს“, პროფესიონალებს პირად გამოცდილებას სთავაზობს.

წიგნში „ჰიჩკოკი/ტრიუფო“ (Hitchcock/Truffaut, 1966) სინჯების თემაზე ალფრედ ჰიჩკოკის ანალიზს ვეცნობით: „საუკეთესო კასტინგი ჩანს ნოველებში, რადგან იქ ავტორებს არ უწევთ მსახიობების მოძებნა“.

სიდნი ლუმეტი, წიგნში „ფილმის კეთება“ (Making Movies), საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს მსახიობის ქცევის მოტივაციის საკითხების განხილვას.

ქართველ რეჟისორ, დრამატურგ, მხატვარ რემო ესაძის წიგნის „ბიპლონი კინორეჟისურის შესახებ“, ერთ-ერთი თავში, „კინო და თეატრალური მსახიობი - მსგავსება და განსხვავება როლზე მუშაობისას“, არანაკლებ მნიშვნელოვანია ავტორის მო-

საზრებები მსახიობთან მუშაობისა და კასტინგის პროცესის პრაქტიკული შედეგების შესახებ.

ეკრანზე მხატვრული სახის შექმნის პროცესი ერთ-ერთი მთავარი პრობლემატური საკითხია. პერსონაჟების სინჯებზე მუშაობის არსებული გამოცდილების პრაქტიკა ძალიან შორს მიდის და ისტორიული ფესვებით უკავშირდება სახიობით ხელოვნების (სახალხო წარმოდგენები) გამოცდილებას, რომელიც, სამსახიობო უნარებისა და გარკვეული მონაცემების გარდა, პერსონაჟის თვისებების წარმოჩენასა და გამოყენებას გულისხმობდა.

გმირის სახეზე მუშაობისას, ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა წარმოსახვის უნარიც, რომლის მიხედვით, მაყურებლის წარმოდგენები დადებით, უარყოფით, კეთილ, სევდიან, მხიარულ ან სხვა თვისებების პერსონაჟებზე ერთიან სტანდარტს ეფუძნებოდა.

ნეგატიური თვისებების გამოსახატად, მსახიობები და ქრისტიანობამდელი პერიოდის ხელოვანები ეძებდნენ ისეთ მარტივ მიმიკურ ნიშნებს, როგორებიც შეიძლება ჰქონოდა შესაბამისი ხასიათის ადამიანს/მსახიობს. ან ეძებდნენ მსგავსებას, ამა თუ იმ ცხოველთან ასოცირებული მიმიკურ-სახასიათო შტრიხების მიხედვით.

ეს მარტივი და ცნობილი გამოცდილებაა, რომელიც, ძირითადად, ამ პირდაპირი ხასიათის ნიღბების - ტიპური ხასიათებისა და განწყობის შექმნას ემსახურება.

როდესაც მხატვრობამ და ლიტერატურამ ხასიათისა და გმირის მხატვრული სახის „დახასიათების“ დიდი გამოცდილება შეიძინა, საზოგადოებისთვის სტანდარტად ქცეულმა „ნიღბებმაც“ და პერსონაჟებმაც ხასიათების ძიების პროცესს სხვა გზა მისცეს. ესეც ერთგვარი „კასტინგი“, პირველი სინჯები იყო, თუმცა, უფრო მარტივ ფორმებად ჩამოყალიბებული - გარეგნულ ნიშნებსა და ღრმად ჩაბუდებულ თვისებებში.

ადამიანის გარეგნობასა და ხასიათში, მთავარი დეტალების ძიების ხელოვნება რთულად წარმავალი პროცესია და ცალკეული ავტორების ბიოგრაფიაში ინსპირაციის წყაროდ ყალიბდებოდა. სწორედ ამ ძიებების შედეგია ხასიათისა და ტრადიციული გარეგნული იმიჯის შექმნის სურვილიც, ხელოვნების სხვადასხვა დარგში და კერძოდ, სამსახიობო ხელოვნებაში.

ასევე, ამ ძიების შედეგია ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებებისა და გარეგნული ნიშნებისადმი კინორეჟისორების ინტერესი, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში, ავანგარდულ კინოში გა-

მომჟღავნდა. და რეჟისორი სინჯებზე, ხშირად მისთვის, საინტერესოს სრულიად საპირისპირო ფიზიკური მონაცემებისა და ტემპერამენტის, პროფესიონალ თუ არაპროფესიონალ მსახიობებში აღმოაჩინდა ხოლმე.

რას ნიშნავს ტიპაჟი, რომელსაც ასევე მხოლოდ ხასიათის მიხედვით ეძებდნენ რეჟისორები კინოს იტორიის სხვადასხვა ეტაპზე და რას ნიშნავს პროფესიონალი მსახიობის თვისებების, ფსიქოლოგიური და ტიპური ნიშნების ჯერ აღმოჩენის, ხოლო შემდგომ გამოვლენის ხელოვნება?

ესაა ათასობით, გარეგნული და არა გარეგნობაში არსებული ფსიქომახასიათებლის ერთობლიობა, ერთმანეთისაგან გამომდინარე ნიუანსები, რომლებსაც სინჯებისას, სხვადასხვა მიზნისთვის ეძებენ პროფესიონალი ავტორები.

კასტინგის პროცესი ხშირად წარმოსახვით რესურსს ეყრდნობა, რომელსაც, მეორე მხრივ, შესაძლებელია გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს, თუ ამ სტანდარტით შერჩეული ხასიათები მოქნილობას და მხატვრულ აზრს იქნებიან მოკლებული.

კინოს მკვლევარი, თეორიული კვლევების ავტორი და ანალიტიკოსი, ისტორიკოსი ანდრე ბაზენი, ნაშრომში „ტოტალური კინოს მითი“ წერს, რომ კინო იდეალისტური მოვლენაა, რომ მისი ძირები არსებობდა ადამიანის გონებაში, რომ საუკუნეობრივი წარმოსახვა კინოს საწყისს, მის იდეას რეალობის ასახვასთან აიგივებდა.¹

შესაბამისად, რეჟისორის მიერ პერსონაჟის ხასიათის აღქმის ნებისმიერი გზა, არა უშუალოდ კინოს გამოგონებასა და განვითარებასთან, არამედ ზოგადად, მისი იდეის განვითარებასთან ერთად ყალიბდებოდა, ხოლო არსებობის პირველ ათწლეულებში, კინომ მხოლოდ დაიწყო პერსონაჟის ძიების პროცესი.

კინოში პროფესიონალი მსახიობების მისვლამ სინჯები კიდევ უფრო საინტერესოდ წარმართა. მერი პიკფორდისა და დაგლას ფერბენქსის კინოიმიჯები გარეგნული თვისებების სხვადასხვა სტანდარტს მოიცავდნენ. ჩაპლინის „პატარა მაწანწალა“ მანამდე არარსებულ, ახალ ხასიათს ქმნიდა, ხოლო ცივი, თითქოს ემოციისგან დაცლილი სახეების მოზღვავება კინოს განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე - სტანდარტისგან გაქცევის სურვილთან ასოცირდება, რაც თითქმის ყველა რეჟისორს სურდა, თუმცა სხვადასხვა დროში და კასტინგზევე აკეთებდა სათანადო არჩევანს.

¹ კუჭხიძე, ეკრანი და დრო, 2009, გვ.45.

გმირის ხასიათის ძიების ეტაპი საინტერესო და უმეტესად ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ერთ რომელიმე სტანდარტულ სისტემაში იშვიათად თავსდება. გმირისა და ხასიათის, ანუ პერსონაჟის, წინასწარ, ნაწილობრივ მაინც, ჩამოყალიბებული ხასიათის გარეშე, ამბავი უბრალოდ ვერ იარსებებს. სინჯებზე ხასიათის მთავარი შტრიხების თავიდანვე მიგნება განსაზღვრავს იდეის წარმატებასაც. კასტინგი შესაძლებელია გახდეს გმირის ბუნებრივად წარმოჩენის გზა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე გვაქვს პირობით ფორმასთან მხატვრულ ფილმში, ან, უბრალოდ, პირობით გარემოსთან. რამდენად სიმბოლურიც ან მეტაფორულიც უნდა იყოს ამა თუ იმ პერსონაჟის ხასიათის შექმნის ფორმა, რამდენად პირობითიც უნდა იყოს სამყარო მის ირგვლივ, კასტინგის პროცესშიც კი, რეჟისორი უკვე ეძებს ე.წ. მთავარ საყრდენს. კონკრეტულად, ეძებენ იმას, რაც მაცურებელს ნანახის სიმართლეში, მის „ნამდვილად“ არსებობაში დაარწმუნებს.

ის, რომ გარემო ეკრანზე შეიძლება იყოს პირობითი, კინოში ჩვეულებრივი ამბავია. ისიც, რომ გმირის ხასიათში ხშირად არა ერთი, არამედ რამდენიმე თვისება უნდა იყრიდეს თავს, მიღებული ფაქტია. მაგრამ ყოველთვის, ასეთ პირობითობაშიც კი, მოძრავი ფიგურა, ადამიანი, პერსონაჟი, გმირი – მკვეთრად გამოხატული თვისებების მატარებელი უნდა იყოს.

სწორედ აქ იჩენს თავს კითხვა, პროფესიონალი და არაპროფესიონალი მსახიობების ყოფნა-არყოფნის საფუძველსა და განსხვავებების შესახებ. გარეგნული ნიშნები ერთი მხრივ – როდესაც გვგონია, რომ არაპროფესიონალ მსახიობში მხოლოდ გარეგნულ შტრიხებს უნდა ვეძებდეთ და მხოლოდ დრამატული მსახიობის რესურსის აღმოჩენის სურვილი პროფესიონალ მსახიობებში – მეორე მხრივ.

და მაინც, საბოლოოდ დადგენილი წესი კასტინგის პროცესში იშვიათად მოქმედებს – თუ რა, რომელი მახასიათებელი აღმოჩნდება სინჯის პროცესში დომინანტური – ე.წ. წამყვანი თვისება, ამა თუ იმ არჩევანის გაკეთებისას, მაინც ბუნდოვანია. არასტაბილურია. ერთ ადამიანში, ერთ პერსონაჟში რამდენიმე თვისების არსებობა თავიდანვე გულისხმობს მის შემსრულებელში რაღაც გარკვეული ტიპის რესურსის აღმოჩენას და გააზრებას.

როდესაც ამგვარ კრებით ხასიათებზეა საუბარი, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა რე-

ალური ხასიათების აღმოჩენის სურვილი, რაც გულისხმობს, რომ სიმართლის გამოხატვის თითოეული გზა და ფორმა საინტერესოა და, თავისთავად, გულწრფელიც უნდა იყოს.

ფრანგი თეორეტიკოსი ემედვი ეფრიმი თვლიდა, რომ კინოქმნილება ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს – მაყურებელს, ავტორსა და სინამდვილეს.¹ მაყურებელი ავტორის არჩევანს აღიქვამს – ავტორი ირჩევს, ხოლო სინამდვილე მსახიობსა და ტიპაჟში დამალული რესურსის ამოცნობის საშუალებას იძლევა.

კინოს ბუნებიდან გამომდინარე, მხატვრის, რეჟისორისა და თავისთავად, სცენარისტის აღმოჩენილ ხასიათს ხედვა სჭირდება და არც ისაა აუცილებელი, ავტორი კასთინგზე, რეალობის ზუსტ გამოვლინებას ეძებდეს.

თუ ისტორიას დავუბრუნდებით, სწორედ XX საუკუნის 20-იანი წლების კინოავანგარდმა შეასუსტა და შეცვალა ასეთი მიდგომა მხატვრული სახის მარტივად გასაგები თვისებების ძიებისადმი. ისეთმა მიმდინარეობებმა, როგორებიც იყო, მაგალითად, სიურრეალიზმი და გერმანული ექსპრესიონიზმი, გმირის შემსრულებლის არჩევის გზა რადიკალურად შეცვალა – მინიმალურმა ემოციურმა გამოხატულებამ გარეგნობაში ექსპრესიული ხასიათები ჩაანაცვლა და პირიქით, მკვეთრმა შტრიხებმა გარეგნობაში ახალი ფუნქცია შეიძინა.

მოგვიანებით კი, ეს ექსპრესიული შტრიხები ჩაიკარგა 40-იანი წლების გასართობი კინოს სტანდარტებსა და გარეგნულ ნიშნებში.

ნიცშე წერს: „ადამიანი არის ხიდი და არა მიზანი“, რომ „ადამიანად ყოფნა გულისხმობს ზრდას, ცვალებადობასა ასევე, განვითარებას“;² ისევე, როგორც პერსონაჟის ხასიათის ძიება – სინჯი გულისხმობს ამ ხასიათის ზრდასა და განვითარებას.

აუცილებელი არაა ყოველ ჯერზე ამ საზომით მივუდგეთ შემსრულებლის არჩევის, მისი ძიების მხატვრულ პროცესს, თუმცა ნიცშეს პოზიციიდან ერთი რამ ნათელია: მსოფლმხედველობა – როგორიც და რამდენად პრიმიტიულიც უნდა იყოს მაინც, მარტივადაც კი, უნდა ჩანდეს გმირის ხასიათში და ხასიათის გამოხატვის პირველ ეტაპზევე, გარეგნულ ნიშნებში.

¹ იქვე კუჭუხიძე, ეკრანი და დრო, 2009, გვ. 35.

² ბერიძე, თავართქილაძე, ფანცულაია, ფილოსოფია, 2009, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბეჭდური არქივი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე ი., თავართქილაძე გ., ფანცულაია თ., ფილოსოფია, თავართქილაძის ეკონომიკურ ურთიერთობათა და სამართლის უნივერსიტეტი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2009, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბეჭდური არქივი.
- კუჭუხიძე ი., „ეკრანი და დრო“, თბ., 2009.
- „ჰიჩკოკი/ტრიუფო“ (Hitchcock/Truffaut), 1966.
- [www.masterclass.com /classes/martin-Scorsese-teaches-filmmaking](http://www.masterclass.com/classes/martin-Scorsese-teaches-filmmaking)
- OBITUARIES, Not Forgotten, By THE NEW YORK TIMES.
- Tom Burke, ‘Forman: ‘Casting Is Everything’, By THE NEW YORK TIMES, 1976; <https://www.nytimes.com/1976/03/28/archives/forman-casting-is-everything-castingis-everything-says-cuckoos.html>
- [https://www.nytimes.com/interactive/projects/cp/obituaries/archives/henri-cartier-bresson-photography,](https://www.nytimes.com/interactive/projects/cp/obituaries/archives/henri-cartier-bresson-photography)



ქორეოლოგია



ანა ღვინიაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ხელოვნების
მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკატერინე გელიაშვილი

მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება ინკლუზიური ცეკვის სწავლებისას

საკვანძო სიტყვები: *ინკლუზიური ცეკვა, გაკვეთილის მოდელი, სწავლის სტილი, სწავლების მრავალფეროვანი მიდგომები.*

საქართველოს სახელოვნებო და საგანმანათლებლო სფეროში შშმ პირებისა და ბავშვების საცეკვაო შესაძლებლობების მიმართ დღემდე არსებობს სტერეოტიპული დამოკიდებულება, რის გამოც დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან.

ცეკვის გაკვეთილებზე, ხშირ შემთხვევაში, პედაგოგ-ქორეოგრაფებს უჭირთ მოსწავლის სწავლის სტილის სწორად განსაზღვრა და სწავლების მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება, რამაც უნდა უზრუნველყოს ჯგუფში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობა.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, შევიმუშავეთ ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილის საავტორო ინოვაციური მოდელი და სწავლების მიდგომები, რომლებიც ეფუძნება ქორეოგრაფიულ პედაგოგიკას, ინკლუზიური განათლების მეთოდოლოგიასა და ინტეგრირებულ საცეკვაო ჯგუფებში ოთხწლიან, საკუთარ, პედაგოგიურ პრაქტიკას.

შემუშავებული გაკვეთილის მოდელი სოციალურია. პირველ რიგში ორიენტირებულია მოსწავლეების საბაზო საცეკვაო უნარების განვითარებასა (14 უნარი) და ქორეოგრაფიული დადგმების განხორციელებაზე. გარდა ამისა, საგაკვეთილო პროცესში ვიყენებთ სინთეზურ თერაპიულ მიდგომას, სადაც გაერთიანებულია მუსიკათერაპიისა და ცეკვით/მოძრაობითი თერაპიის ტექნიკები.

ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილზე ცეკვის სწავლების გზით ვცდილობთ მივალწიოთ გონების, სულისა და სხეულის ჰარმონიზაციას, გავაუმჯობესოთ მოსწავლის ზოგადი უნარები და ემოციუ-

რი სფერო, ხელი შევუწყობთ მათ სოციალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილის აღნიშნული მოდელი განკუთვნილია სხვადასხვა შესაძლებლობათა მქონე ბავშვებისა და პირებისათვის. გაკვეთილი ეფუძნება საყოველთაოდ მიღებულ, უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, რითაც ვცდილობთ შევქმნათ თანაბარი სასწავლო საცეკვაო გარემო.

აღნიშნული სამუშაო მიზნების მისაღწევად, ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილზე საჭიროა გავითვალისწინოთ თითოეული მოსწავლის სწავლის სტილი.

„სწავლის სტილი არის პიროვნების მახასიათებელი და ინფორმაციის გაგების, დაუფლების, გადამუშავების, შენახვისა და აღდგენის უპირატესი გზა, რომელიც აადვილებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესს. ბევრისთვის მისაღებია ნებისმიერი გზით მიწოდებული მასალა, თუმცა რომელიმე მათგანს მაინც ვანიჭებთ უპირატესობას. სწავლის სტილის კლასიფიცირების არაერთი მოდელი არსებობს, თუმცა მათ შორის ყველაზე გავრცელებულია VAK (Visual, Auditory, Kinaesthetic) მოდელი, რომელიც სწავლის სამი ძირითადი სტილისა და მეთოდის მიხედვით ახდენს კატეგორიზებას: ვიზუალური (მხედველობითი), აუდიალური (სმენითი) და კინესთეტიური (სხეულებრივი)“.¹

VAK (Visual, Auditory, Kinaesthetic) - ეს სწავლების მოდელი სავსებით შეესაბამება ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილის ფორმას. მნიშვნელოვანია განვიხილოთ თითოეული სტილი, რათა მივუსადაგოთ სხვადასხვა საცეკვაო შესაძლებლობათა მქონე მოსწავლეებს სწავლების პროცესში.

აუდიალური (მუსიკალური) სწავლის სტილის მქონე მოსწავლეები ინფორმაციას უკეთ აღიქვამენ მოსმენით. ამ შემთხვევაში, საცეკვაო მოძრაობებსა და სივრცეში გადაადგილებებს (ნახაზებს) ვხსნით ვერბალური ან აუდიო საშუალებების გამოყენებით. მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებენ რიტმულ მელოდიებს, რაც ამარტივებს ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილზე დასწავლის პროცესს. ასეთ დროს, დამახსოვრების საუკეთესო მეთოდია საცეკვაო მოქმედებების დაწყებამდე ან მოქმედებების პროცესში ინსტრუქ-

¹ სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, გზამკვლევი, გვ. 33-34. shorturl.at/eGIT3

ციის ხმამაღლა წარმოთქმა და გამეორება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსწავლის ყურადღება ადვილად გადართვადი ძლიერ ხმაურზე ან პირიქით, სიჩუმეზე. ამიტომ, საჭიროა ჯგუფში მუსიკისა და სხვა ხმების დაბალანსება.

ვიზუალური (სივრცითი) სწავლის სტილი, განსაკუთრებით მოცეკვავეებში, ყველაზე მეტადაა გავრცელებული. ვიზუალური საშუალებების დემონსტრირებისას ისინი უკეთ აღიქვამენ და ითვისებენ მასალას. სივრცითი უნარები და ორიენტაცია მათ ძლიერ მხარეს წარმოადგენს და დიდ როლს თამაშობს ეფექტური სწავლების პროცესში. ვერბალური გზით მიწოდებას, მოსწავლეებს წერილობითი ან ფერადი ნიშნებით ინსტრუქციები ურჩევნიათ. ასეთ დროს, საცეკვაო მოძრაობებისა და გადაადგილებების (ნახაზების) უკეთ აღქმისათვის, რეკომენდებულია დამხმარე საშუალებების (ფერადი ნიშნების, იატაკის სტიკერების, ალტერნატიული ბარათების, სლაიდების, ვიდეოების და ა.შ.) გამოყენება. ვიზუალური საშუალებების გამოყენებისას გასათვალისწინებელია ბალანსის დაცვა, რომ მოსწავლეების ყურადღება არ მოსწყდეს მთავარს – ცეკვის შესწავლას.

კინესთეტური (სხეულებრივი) – „კინესთეტური, მოტორული ანუ მოძრაობითი შეგრძნებები ეწოდება ჩვენი სხეულისა და მისი ნაწილების მოძრაობისა და მდგომარეობის შეგრძნებებს. კინესთეტური შეგრძნებების რეცეპტორებს უწოდებენ პროპრიოცეპტორებს, რადგან მათი გალიზიანება ხდება ჩვენი ორგანიზმის ამოძრავებით. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კინესთეტურ შეგრძნებებზე დაყრდნობით ადამიანი აღიქვამს ობიექტურ საგანთა და საზოგადოდ გარემოს თვისებათა რიგს შეხებითი აღქმის პროცესში. კინესთეტური შეგრძნებები დიდ როლს თამაშობს სივრცის აღქმის და, კერძოდ, სივრცის ოპტიკური აღქმის ჩამოყალიბებაში, ჩვევების შემუშავებაში და ა.შ. კინესთეტიკურ შეგრძნებათა დარღვევა იწვევს მოძრაობათა კოორდინაციის დარღვევას“.¹

ჩვენს პრაქტიკაში არსებობენ კინესთეტური სწავლის სტილის მქონე მოსწავლეები, რომლებიც უკეთ შეიმეცნებენ ინფორმაციას ტაქტილური (შეხებითი) რეპრეზენტაციების საშუალებით, სხეულის მოძრაობითა და ობიექტების მანიპულაციით. ასეთები შეიძლება იყვნენ აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეები ან დასწავლის უნარის დაქვეითების მქონეები.

¹ ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1981, გვ. 63-64.

„საკუთრივ შეხების შეგრძნება, მხოლოდ შეხების რეცეპტორების გაღიზიანებით გამოწვეული, მეტად ღარიბია სენსორულად. მას არ აქვს მკვეთრი სპეციფიკური სენსორული გამოხატულება: იგი იძლევა მხოლოდ შეხების, ხოლო ინტენსიური გაღიზიანების შემთხვევაში წნევის (დაწოლის) შთაბეჭდილებას“.¹

უფრო ცხადად და კონკრეტულად რომ განვმარტოთ – „ტაქტილური გულისხმობს შეხებას, ხოლო კინესთეტიური მოძრაობას, ორი მოდალობა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ამ სტილის მქონე მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანია, რომ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები. „კეთებით სწავლება“ მათთვის ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა“.²

კინესთეტიური სტილის მოსწავლეებს, მაგალითად, ესა თუ ის ცეკვის ილეთი უკეთესად ამახსოვრდებათ მაშინ, თუ სხეულზე ვეხებით და ვეხმარებით მოძრაობაში. ამ დროს მოსწავლე გრძნობს მხარდაჭერას და მატულობს მოტივაცია საკუთარი საცეკვაო შესაძლებლობების მიმართ.

ტაქტილური რეპრეზენტაციის მეთოდი ხშირად წარმატებულია აუტისტური სპექტრის ან დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას. გასათვალისწინებელია, რომ ასეთ დროს, საჭიროა მოქმედების სიხშირის დაბალანსება და ზომიერების დაცვა, რათა ცეკვაში დამოუკიდებლობის ხარისხი შენარჩუნდეს. ამასთან, ტაქტილური რეპრეზენტაცია არ უნდა იყოს უხეში ფორმით განხორციელებული. ის უნდა იყოს ნებადართული და მოსალოდნელი აქტი.

ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილის პროცესში, სასურველია, მასწავლებელმა იცოდეს კონკრეტულ მოსწავლესთან რომელი სწავლის სტილით იხელმძღვანელოს. შესაძლოა ასევე ერთდროულად სამივე მათგანის გამოყენება, რასაც გულისხმობს მულტი-მოდალური სწავლების მიდგომა (სხვადასხვა შეგრძნებათა ერთდროულად ჩართვა).

ამდენად, ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილზე, ვიდრე მოსწავლის სწავლების მიდგომებს განვსაზღვრავდეთ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შევადგასოთ სწავლის სტილი და შემდეგ ვიფიქროთ მიდგომებზე, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

¹ ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1981, გვ. 66-67.

² სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან გზამკვლევი, გვ. 33-34.

ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილზე სწავლების ძირითადი მიდგომები:

ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილზე სწავლებისას ვიყენებთ მრავალფეროვან მიდგომებს: ა) ჰოლისტიკური მიდგომა; ბ) განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომა; გ) შესაძლებლობებზე დაფუძნებული მიდგომა; დ) ემოციურ, კოგნიტიურ ჩართულობაზე ორიენტირებული მიდგომა; ე) მულტიმოდალური მიდგომა; ვ) სინთეზური თერაპიული მიდგომა (მუსიკათერაპია და ცეკვით/მოძრაობითი თერაპია). ინკლუზიური ცეკვის სწავლების კონტექსტში მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) ჰოლისტიკური მიდგომა

„ინდივიდს განიხილავენ, როგორც ბიოფსიქოსოციალურ ერთეულს (Engel, 1977, 1980), რომელიც ემყარება ადამიანის ჰოლისტიკური ხედვის და გონება/სხეულის კავშირს. ფსიქომოტორიკულობა აერთიანებს ფიზიკურ, ემოციურ, სიმბოლურ და შემცნებით ურთიერთქმედებას ინდივიდუალური შესაძლებლობისადმი - იყოს ბიოფსიქო სოციალურ კონტექსტში და იმოქმედოს“.¹

გარდა ამისა, ჰოლისტიკური მიდგომა „აქცენტს აკეთებს მოსწავლის მთლიან ზრდაზე, იმის ნაცვლად, რომ ხაზი გაუსვას ადამიანის გამოცდილების მხოლოდ კონკრეტულ ნაწილებს. ის ხაზს უსვამს მატერიალიზმს და ხელს უწყობს ადამიანის გამოცდილებას ყველა სფეროში: ინტელექტუალურ, ემოციურ, სოციალურ და სხვა“.²

ინკლუზიური ცეკვის სწავლებისას მოსწავლეს განვიხილავთ ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით. ბიოფსიქოსოციალური მიდგომა არის ფართოდ დანერგილი მოდელი, რასაც იყენებს ადამიანის ფსიქოლოგია, პედაგოგია, სოციოლოგია და ა.შ. ბიოფსიქოსოციალური მოდელის პრინციპების რეალიზებისას, ხდება ადამიანის საჭიროების კომპლექსურად გააზრება და შესაბამისად, შედეგიც კომპლექსურია.

ბ) განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომა (მრავალმხრივი და ჰარმონიული აღზრდა)

ინკლუზიური ცეკვის გაკვეთილზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება

¹ DR. MARIA DINOLD, University of Vienna., MICHELLE ZITOMER University of Alberta, Creating Opportunities for All In Inclusive Dance., Article January 2015, გვ. 46,47.

² იქვე.

მოსწავლის მრავალმხრივ და ჰარმონიულ აღზრდა-განვითარებას. აქ იგულისხმება: 1) ფსიქომოტორული განვითარება; 2) კოგნიტიური განვითარება; 3) ემოციური ინტელექტისა და სოციალური უნარების განვითარება; 4) ესთეტიკური და ზნეობრივი განვითარება.

ფსიქომოტორული განვითარება - ხელს უწყობს აღქმასა და მოძრაობას შორის კავშირის გაუმჯობესებას.

არისტოტელეს ამრით, „ზრუნვა სხეულისათვის უნდა უსწრებდეს ზრუნვას სულისათვის. სხეულის შემდეგ უნდა ვიზრუნოთ მიდრეკილებათა განვითარებისათვის ისე, რომ მათი აღზრდა ხელს უწყობდეს გონების განვითარებას, ხოლო სხეულის განვითარება სულის აღზრდას“.¹

„მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური აპარატი განუყოფელია. იდეები, ემოციები, შეგრძნებები სხეულებრივ ფორმაში ასახვას პოულობს. ყველა ამრი, ფიქრი, ემოცია ფიზიკურად აისახება. ეს არის კავშირი ფსიქიკურსა და ფიზიკურ აპარატს შორის“.²

